ინდივიდუალურ ბინათ მენაშენეთა ამხანაგობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი, 2016 წლის 04 მარტი

მუხლი 1. მხარეები

ამხანაგობის მხარეები არიან:

ამხანაგობის წევრი 1. თეა ჭიღლაძე (პ.ნ.:01023000378)
ამხანაგობის წევრი 2. ნინო სხირტლაძე (პ.ნ.: 01007015559)
ამხანაგობის წევრი 3. ბექა ჩადუნელი (პ.ნ.: 01001041082)
ამხანაგობის წევრი 4. ანა პატიეშვილი (პ.ნ.: 26001011342)
ამხანაგობის წევრი 5. მიხეილი სხირტლაძე (პ.ნ.: 01019036901)
ამხანაგობის წევრი 6. დავით გრძელიშვილი (პ.ნ.: 01023001001)
ამხანაგობის წევრი 7. ვალერიანი კუსრაშვილი (პ.ნ.: 20001058345)
ამხანაგობის წევრი 8. მაია პატიეშვილი (პ.ნ.: 01006010362)
ამხანაგობის წევრი 9. ავთანდილ ჩხაიძე (პ.ნ.: 26001010707)
ამხანაგობის წევრი 10. ნატალია ლომსაძე (პ.ნ.: 47001002173)
ამხანაგობის წევრი 11. ბესიკი ომიაძე (პ.ნ.: 01022002954)
ამხანაგობის წევრი 12. ილია ჩხაიძე (პ.ნ.: 26001035613)

მუხლი 2. მონაწილეთა დასახელებასა და მისამართი;

2.1. ამ ხელშეკრულების მხარეები არიან ამხანაგობის მონაწილეები და მისი წევრები. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოთვლილი პირები ერთად მოხსენიებულნი არიან როგორც „მხარეები“ ან „მონაწილეები“, სათითაოდ - როგორც „მხარე“ ან „მონაწილე“

2.2. მხარეებს აქვს ერთი და იგივე უფლებები და მოვალეობები, გარდა ამ ხელშეკრულებით დადგენილი შემთხვევებისა.

2.3. დაუშვებელია ამხანაგობის წევრების რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ამხანაგობის მიზანია წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, იურიდიული პირის შეუქმნელად, განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (შემდგომში „საცხოვრებელი სახლი“).

3.2. ამ ხელშეკრულებით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას იურიდიული პირის შეუქმნელად ერთობლივად იმოქმედონ ამავე ხელშეკრულებით დადგენილი საერთო სამეურნეო მიზნების მისაღწევად რისთვისაც ქმნიან ერთობლივ საქმიანობას (ამხანაგობას).

3.3. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) სახელწოდებაა **„გუდამაყრის 25“**.

3.4. ერთობლივი საქმიანობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება არ ეხება მონაწილეების დამოუკიდებლობას და მათ იურიდიულ სტატუს.

3.5. მესამე პირების მიმართ ვალდებულებებზე, რომლებიც არ წარმოიშობა ერთობლივი საქმიანობის შედეგად მხარეები პასუხს აგებენ დამოუკიდებლად მათი იურიდიული სტატუსის შესაბამისად.

3.6. მხარეებმა განსაზღვრეს, რომ:

3.6.1. წინამდებარე ხელშეკრულებამ არ დაადგინა, არ ადგენს და არც მომავალში დაადგენს მხარეთა გრძელვადიან ვალდებულებას, პასუხისმგებლობასა და ურთიერთობას მხარეთა შორის, გარდა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობისა,

3.6.2. წინამდებარე ხელშეკრულება არ ანიჭებს ნებისმიერ მხარეს უფლებას, რომ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სახელით იკისროს ნებისმიერი ვალდებულება გარდა ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.6.3. წინამდებარე ხელშეკრულება არ ანიჭებს ნებისმიერ მხარეს უფლებას, რომ მეორე მხარის სახელით იკისროს ნებისმიერი ვალდებულება.

3.7. ერთობლივი საქმიანობის მართვის ადგილსამყოფელია (იურიდიული მისამართი): ქალაქი თბილისი, გუდამაყრის ქუჩა 25.

მუხლი 4. მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები;

მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

12. მხარე ვალდებულია ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობა შეასრულოს კეთილსინდისიერად.

მუხლი 5. მართვის ორგანოთა სტრუქტურა და ფუნქციები;

5.1. ამხანაგობის მმართველობის ორგანოა ამხანაგობის კრება (შემდგომში - კრება) და ამხანაგობის თავმჯდომარე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის ყოველდღიურ საქმიანობას გაუძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარე შეიძლება იყოს მხოლოდ ამხანაგობის წევრი. ამხანაგობის თავმჯდომარედ მხარეებმა ერთხმად აირჩიეს **ბესიკ ომიაძე** (პ.ნ.:01022002954, მისამართი: თბილისი, გუდამაყრის ქუჩა N7ა, ბინა 18).

5.2. მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარეს აქვს ამხანაგობის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. იგი წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირთან ურთიერთობასა და სასამართლოში, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საჯარო რეესტრში, საგადასახადო ორგანოებთან, საკრედიტო და საბანკო დაწესებულებებში, ამხანაგობის სახელით დებს გარიგებებს, ამასთანავე, იგი ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ შედის კრების კომპეტენციაში.

5.3. ამხანაგობის თავმჯდომარემ უფლებამოსილება უნდა განახორციელოს ისე, რომ ამით არ მოხდეს მხარეთა უფლებების შელახვა/შემცირება ან მათი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება.

5.4. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისთვის გარდა იმ საგადასახდო ვალდებულებების შესრულებისა რაც მოქმედი კანონმდებლობით ეკისრებათ მხარეებს.

5.5. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

5.6. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

5.7. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა მხარეებს.

5.8. ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვას ერთობლივი საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

<u>ამხანაგობის კრება:</u>

5.9. ამხანაგობის კრება (კრება) მოიწვევა საჭიროებისამებრ ამხანაგობის თავმჯდომარის ან მხარის მოთხოვნით; კრების მომწვევი ვალდებულია კრების ჩატარების შესახებ ერთი კვირით ადრე მაინც შეატყობინოს მონაწილეებს დაზღვეული წერილით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს კრების ჩატარების ადგილი, დრო, და განსახილველი საკითხი.

5.10. კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3 მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში კრება მოიწვევა განმეორებით იმავე წესით, და იგი იქნება გადაწყვეტილებაუნარიანი დამსწრე მხარეების რაოდენობის მიუხედავად.

5.11. კრებაზე ყოველ მხარეს აქვს ერთი ხმა, მიუხედავად მის მიერ მისაღები ქონების ან განხორციელებული შენატანის ოდენობისა.

5.12. კრებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრე წევრთა 2/3-ით, გარდა ამ ხელშეკრულების 5.13.1 და 5.13.2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობით.

5.13. კრება გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ შემდეგ საკითხებზე:

5.13.1. ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია;

5.13.2. ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაგირავება, იპოთეკით დატვირთვა ან სხვა სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება.

5.13.3. ამხანაგობის მიერ სესხის აღება.

5.13.4. დამატებითი შენატანებისა და მათი მოცულობის განსაზღვრა.

5.13.5. ამ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

5.13.6. ქონების განაწილება/ამხანაგობის ლიკვიდაცია.

5.14. ყველა იმ საკითხს, რომელიც არ შედის კრების კომპეტენციაში, წყვეტს ამხანაგობის თავჯდომარე ერთპიროვნულად; მათ შორის ამხანაგობის თავჯდომარე უფლებამოსილია დამოუკიდებლად, ამხანაგობის წევრების დამატებით თანხმობის გარეშე შეიძინოს თბილისის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი მიწის ნაკვეთი, ნებისმიერი ფართობისა და ფორმის, ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ ასეთი ნაკვეთის ნასყიდობის ჯამური ღირებულება არ აღემატება 200 000 (ორასიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს.

5.15. ამხანაგობის წევრები უფლებამოსილნი არიან შეცვალონ ამხანაგობის თავჯდომარე ან/და აირჩიონ დამატებითი თავჯდომარე.

მუხლი 6. შენატანები

6.1. მონაწილეების მიერ განსახორციელებელი შენატანების ოდენობა განისაზღვრება ამხანაგობის მიზნებიდან გამომდინარე ამხანაგობის თავჯდომარის მიერ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა. შენატანების ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ამ მუხლში მოცემული ფორმულით.

6.2. ამხანაგობის თავჯდომარე უფლებამოსილია განსაზღვროს მონაწილეთა შენატანების განხორციელების ვალდებულება მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის:

6.2.1. პირველადი შენატანი - იმისათვის, რომ ამხანაგობამ უზრუნველყოს გამართული ფუნქციონირება, ამხანაგობის თავჯდომარე განსაზღვრავს პირველადი შენატანის ოდენობას. პირველადი შენატანი უნდა განხორციელდეს მონაწილის მიერ ან მისი სახელით მესამე პირის მიერ, ამხანაგობის მიერ საბანკო ანგარიშის გახსნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. პირველადი შენატანით დაიფარება ადმინისტრაციული ხარჯები (ამხანაგობის შექმნის ხარჯი, უძრავი ქონების რეგისტრაციის ხარჯი და სხვა), მშენებლობის პროექტის მომზადების ხარჯი, ასევე სხვა ნებისმიერი ხარჯი რაც დაკავშირებულია ამხანაგობის შექმნასთან, პროექტის შედგენასთან და სამშენებლო სამუშაოების დაწყებასთან.

6.2.2. შენატანი მშენებლობისთვის - ამხანაგობის თავჯდომარე, იმის შემდეგ რაც ამხანაგობა მიიღებს მშენებლობის ნებართვას, ადგენს შენატანის ოდენობას მშენებლობისთვის, რომელიც გათვალისწინებული სამშენებლო დოკუმენტაციით (შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით). აღნიშნული შენატანის ოდენობა იანგარიშება პროექტის ხარჯთაღრიცხვისა და სხვა ფაქტორების მიხედვით და შეადგენს საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საჭირო ყველა ხარჯს. განსაკუთრებული აუცილებლობისას, შენატანი მშენებლობისთვის შეიძება დადგინდეს ნაწილ-ნაწილ, ან მოგვიანებით გაიზარდოს. მოგვიანებით შენატანის ოდენობის გაზრდას მხარი უნდა დაუჭიროს ამხანაგობის მონაწილეთა უბრალო უმრავლესობამ. შენატანი მშენებლობისთვის უნდა განხორციელდეს მონაწილის მიერ, ან მისი სახელით მესამე პირის მიერ, ამხანაგობის თავჯდომარის მიერ ასეთ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღეში.

6.3. დამატებითი შენატანები - ამხანაგობის კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დამატებით შენატანების შესახებ. დამატებითი შენატანი წარმოადგენს წინასწარ დაუგეგმავი ხარჯის დასაფარად განსახორციელებელ შენატანს. დამატებითი შენატანი შედგება ყველა იმ ხარჯისგან, რაც საჭიროა მშენებლობის დასასრულებლად, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული წინა შენატანებში. დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულება შეიძლება საერთოდ არ წარმოიშვას, ან წარმოიშვას ერთზე მეტ ჯერზე.

6.4. ამხანაგობის თავჯდომარე ამტკიცებს შენატანების მხოლოდ ჯამურ ოდენობას, რომელიც მონაწილეებზე ნაწილდება მათ მიერ მისაღები წილის პროპორციულად; პროპორციის დათვლის მიზნებისთვის, გამოიყენება შემდეგი ფორმულა: დასრულებულ შენობაში გასანაწილებელი ფართების ჯამის განაყოფი მონაწილის მიერ მისაღები ფართზე; პროექტის შექმნამდე, და მის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის მიღებამდე, მხარეები ხელმძღვანელობენ სავარაუდო პროპორციით. მიუხედავად განხორციელებული

შენატანებისა, ყოველი მონაწილის მიერ ჯამურად განხორციელებული (განსახორციელებელი) შენატანის ოდენობა არ უნდა განსხვავდებოდეს ზუსტი პროპორციით (პროექტის საბოლოო სახით დამტკიცების შემდეგ დათვლილი პროპორციით) განსახორციელებელი შენატანის ოდენობისგან.

6.5. შენატანების განხორციელება უნდა მოხდეს ამხანაგობის საბანკო ანგარიშზე ან/და ამხანაგობის სალაროში. შენატანის შეტანა შესაძლებელია როგორც პირადად, ასევე მესამე პირის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში გადარიცხვის დანიშნულებაში მითითებული უნდა იყოს მონაწილის სახელი და გვარი.

6.6. მხარეთა შენატანები წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) წევრთა სართო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ან/და მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო.

6.7. ამხანაგობის წევრი 2 და ამხანაგობის წევრი 5-ის შენატანი ამხანაგობაში განისაზღვრება აღნიშული ორი წევრის საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით 01.12.06.015.014, მდებარე ქ. თბილისში, გუდამაყრის ქუჩა 25-ში (შემდგომში - უძრავი ნივთი). ამ ამხანაგობის ხელშეკრულების ხელმოწერით ამხანაგობის წევრი 2 და ამხანაგობის წევრი 5 უძრავ ნივთს გადასცემენ ამხანაგობას საკუთრებაში; ამხანაგობის წევრი 2 და ამხანაგობის წევრი 5 არ განახორციელებენ სხვა შენატანებს ამხანაგობაში, მიუხედავად ამხანაგობის თავჯდომარის გადაწყვეტილებისა; ასევე, ამხანაგობის თავჯდომარის გადაწვეტილებით განსახორციელებელი შენატანების პროპორციის გამოთვლისას, მხედველობაში არ მიიღება ამხანაგობის წევრი 2-სა და ამხანაგობის წევრი 5-ის მიერ მისაღები ფართი.

6.8. თითოეულ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 7. ფართების განაწილება

7.1. ამხანაგობის წევრების ერთობლივი შეთანხმებით, მხარეები გეგმავენ შემდეგი სახის შენობის მშენებლობას:

7.1.1. საერთო საცხოვრებელი ფართი - არაუმეტეს 1150 კვადრატული მეტრისა.

7.1.2. საერთო მანსარდის ფართი - არაუმეტეს 410 კვადრატული მეტრისა;

7.1.3. არაუმეტეს 5 საცხოვრებელი სართული, რომლის ქვეშაც მიწის დონეზე შესაძლოა იყოს პარკირების ადგილი, ხოლო ზევით მანსარდის სართული (სართულები);

7.1.4. ამხანაგობის თავჯდომარის გადაწყვეტილებით, საერთო ფართი შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს არაუმეტეს 20%-ით.

7.2. მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრულია ფართების შემდეგი განაწილება:

7.2.1. ასაშენებელი შენობის პირველი სართული:

7.2.1.1. ბინა საერთო ფართით 35.06 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 1-ს.

7.2.1.2. 2 ბინა, თითოეული საერთო ფართით 60.00 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 2-ს.

7.2.1.3. ბინა საერთო ფართით 142.80 კვ.მ. გადაეცემა თანასაკუთრებაში ამხანაგობის წევრი 1-სა და ამხანაგობის წევრი 3-ს, საიდანაც ამხანაგობის წევრი 1-ის საკუთრებას წარმოადგენს 76.90 კვ.მ., ხოლო ამხანაგობის წევრი 3-ის საკუთრებას წარმოადგენს 65.90 კვ.მ.

7.2.2. ასაშენებელი შენობის მეორე სართული:

7.2.2.1. ბინა საერთო ფართით 46.50 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 4-ს.

7.2.2.2. ბინა საერთო ფართით 60.00 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 5-ს.

7.2.2.3. ბინა საერთო ფართით 240.80 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 6-ს.

7.2.3. ასაშენებელი შენობის მესამე სართული:

7.2.3.1. ბინა საერთო ფართით 109.90 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 7-ს.

7.2.3.2. ბინა საერთო ფართით 60.00 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 8-ს.

7.2.3.3. ბინა საერთო ფართით 175.40 კვ.მ. გადაეცემა თანასაკუთრებაში ამხანაგობის წევრი 7-ს, ამხანაგობის წევრი 9-სა და ამხანაგობის წევრი 12-ს, საიდანაც ამხანაგობის წევრი 7-ის საკუთრებას წარმოადგენს 114.7 კვ.მ., ხოლო ამხანაგობის წევრი 9-სა და ამხანაგობის წევრი 12-ის თანასაკუთრებას წარმოადგენს 60.70 კვ.მ..

7.2.4. ასაშენებელი შენობის მეოთხე სართული:

7.2.4.1. ბინა საერთო ფართით 150.00 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 10-ს.

7.2.4.2. ბინა საერთო ფართით 200.70 კვ.მ. გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 11-ს.

.5. ასაშენებელი შენობის მანსარდა სრულად გადაეცემა საკუთრებაში ამხანაგობის წევრი 7-სა და ამხანაგობის წევრი 11-ს საერთო საკუთრებაში.

7.2.6. ასაშენებელი შენობის პარკინგები განაწილდება შემდეგნაირად:

7.2.6.1. ამხანაგობის წევრი 1 მიიღებს საავტომობილო პარკინგის სივრცეს 2 ავტომობილისთვის.

7.2.6.2. ამხანაგობის წევრი 2 მიიღებს საავტომობილო პარკინგის სივრცეს 1 ავტომობილისთვის.

7.2.6.3. ამხანაგობის წევრი 4 მიიღებს საავტომობილო პარკინგის სივრცეს 1 ავტომობილისთვის.

7.2.6.4. ამხანაგობის წევრი 6 მიიღებს საავტომობილო პარკინგის სივრცეს 2 ავტომობილისთვის.

7.2.6.5. ამხანაგობის წევრი 7 მიიღებს საავტომობილო პარკინგის სივრცეს 2 ავტომობილისთვის.

7.2.6.6. ამხანაგობის წევრი 10 მიიღებს საავტომობილო პარკინგის სივრცეს 2 ავტომობილისთვის.

7.2.6.7. ამხანაგობის წევრი 11 მიიღებს საავტომობილო პარკინგის სივრცეს 2 ავტომობილისთვის.

7.2.6.8. გაუნაწილებელი საავტომობილო პარკინგის სივრცე თანასაკუთრებაში გადაეცემა ამხანაგობის წევრი 7-სა და ამხანაგობის წევრი 11-ს.

7.2.6.9. ამხანაგობის წევრი 1 მიიღებს საავტომობილო პარკინგის სივრცეს 2 ავტომობილისთვის.

7.3. ზემოაღნიშნული წინასწარი განაწილება შესაძლოა შეიცვალოს პროექტის შესაბამისად. ამასთან, ცვლილება, რომელიც ამხანაგობის წევრის მიერ მისაღები ფართის ოდენობას ცვლის 5%-ზე ნაკლებით, არ საჭიროებს მის თანხმობას.

7.4. ამხანაგობის წევრები თანხმდებიან, რომ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანების შესაბამისად, მათ უნდა გადაეცეთ ფართი, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოცემულობას: შენობის გარეთა ფასადი მოპირკეთებულია, გარეთა პერიმეტრზე ჩასმულია კარ-ფანჯარა, ბინის შესასვლელში დამონტაჟებულია რკინის კარი, სადარბაზო მოპირკეთებულია და ყოველი ბინა უზრუნველყოფილია საშუალებით მოახდინოს ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირის და წყალანირების კომუნიკაციაზე დაერთება (ელ. ენერგიის სადენი და ბუნებრივი აირის მილი უნდა იყოს მიყვანილი ბინაში შესასვლელ რკინის კართან მაინც და შენობაში შეყვენილი უნდა იყოს ყველა კომუნიკაცია (აღნიშნული არ მოიცავს გამრიცხლელიანებას) და ამხანაგობის წევრის მოთხოვნით, ბინაში ასევე ამოშენებულია შიდა ტიხრები. ამასთან, ამხანაგობის წევრი 2-ისა და ამხანაგობის წევრი 5-ის საკუთრებაში გადასაცემ ბინებში გაკეთებული იქნება იატაკის მოჭიმვა.

7.5. მშენებლობის დასრულების ვადაა მისი დაწყებიდან 1 კალენდარული წელი.

მუხლი 8. სპეციალური დებულებები

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ, იმ შემთხვევაში, ამხანაგობის ხელშეკრულება შეწყდება ვადამდე, ან მშენებლობა არ დასრულდება ამხანაგობის ქონების გაიყოფა მონაწილეებს შორის მათ მიერ განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

8.2. წილი ამხანაგობაში ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობის გარეშე; უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას. ხელშეკრულების მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

8.3. მხარე უფლებამოსილია გავიდეს ამხანაგობიდან, რაც არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში, მას არ დაუბრუნდება მის მიერ განხორციელებული შენატანი. იმ შემთხვევაში, თუ მხარის ამხანაგობიდან გასვლით ამხანაგობას მიადგა ზიანი, მხარე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანის სრულად (მათ შორის გაზრდილი გადასახადების ნაწილში).

8.4. ამხანაგობის ერთ–ერთ წევრის გარდაცვალება არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. მის ადგილს დაიკავებს მემკვიდრე.

8.5. საცხოვრებელი სახლი ჩაითვლება დასრულებულად, თუ ის დააკმაყოფილებს შემდეგ მოცემულობას: შენობის გარეთა ფასადი მოპირკეთებული, გარეთა პერიმეტრზე კარ-ფანჯარა ჩასმული, ბინის შესასვლელში რკინის კარი ჩამოკიდებული, სადარბაზო მოპირკეთებული, ცენტრალური კანალიზაცია დამონტაჟებული;

8.6. მხარეებს შორის დასრულებული საცხოვრებელი სახლის განაწილება ხორციელდება ურთიერთშეთანხმებით, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით და დაერთოს ამ ხელშეკრულებას დანართის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების დებულება ან დებულებები ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დანართით გათვალისწინებულ განაწილებას, უპირატესობა მიენიჭება დანართით დადგენილ წესს.

. იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის პერიოდში შეიცვლება სამშენებლო პროექტი, რითიც საერთო სასარგებლო ფართი გაიზრდება ან შემცირდება, მხარის მიერ მისაღები ფართი შეიცვლება შესაბამისი პროპორციით.

8.8. მხარეები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით და იმოქმედონ იმის გათვალისწინებით, რომ მათი მოქმედება შედის მხარეების როგორც ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა საერთო ინტერესებში.

8.9. მხარეს არ აქვს უფლება აუკრძალოს მეორე მხარეს ისეთ საქმიანობაში ჩართვა, რომელიც დაკავშირებული არ არის ერთობლივი საქმიანობის მიზნებთან.

8.10. ამხანაგობა ამხანაგობის წევრ 2-ს გადასცემს 18000 აშშ დოლარს, როგორც მშენებლობის დასრულების გარანტიას. ამხანაგობის წევრი 2 ვალდებულია დააბრუნოს მიღებული თანხა სრულად, მას შემდეგ რაც დასრულდება პირველი სართული მშენებლობა. იმ შემთხვევაში, თუ თანხის დაბრუნება არ განხორციელდა პირველი სართულის მშენებლობის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ამხანაგობის წევრი 2-ის მიერ მისაღები ქონება შემცირდება - ნაცვლად 2 ბინისა, ის მიიღებს 1 ბინას ფართობით 60.00 კვ.მ., ხოლო ნარჩენი ფართი გადაეცემა იმ ამხანაგობის წევრს, რომელიც განახორციელებს პროპორციულ შენატანს. ამასთან, მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ პირობას:

8.10.1. პირველი სართული დასრულებულად ჩაითვლება მეორე სართული ნიშნულის ბეტონის დასხმა (პირველი სართული გადახურვა).

8.10.2. ამხანაგობა თანახმაა ამხანაგობის წევრი 2-სა და ამხანაგობის წევრი 5-ს ჯამურად გადაუხადოს 500 ლარი თვეში, 8.10.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადამდე. იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის დასრულება არ განხორციელდა ამ ხელშეკრულების 7.5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ამხანაგობა იღებს ვალდებულებას დამატებით გადაუხადოს ამხანაგობის წევრი 2-სა და ამხანაგობის წევრი 5-ს ჯამში თვეში 500 ლარი მშენებლობის დასრულებამდე, ვადის გადაცილების მომენტიდან.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედება და მისი შეწყვეტა

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

9.2. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი ბინის აშენების მიზნით, შესაბამისად, მოქმედებს საცხოვრებელი ბინის მშენებლობის დასრულებამდე.

9.3. ამხანაგობა უქმდება საცხოვრებელი ბინის მონაწილეებზე განაწილებით (საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციით).

9.4. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მიზნების მიღწევისთვის (დასრულებულ შენობაში ფართების შეთანხმებული ოდენობების მხარეებზე გადაცემა) ამხანაგობის საკუთრებაში დარჩება რამე ქონება (სამშენებლო მასალები, ან სხვა მატერიალური აქტივი(ები)) ან თანხა ამხანაგობის ანგარიშზე, აღნიშნული ქონება და ფული განაწილდება მონაწილეებს შორის განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

მუხლი 10. ფორს–მაჟორი

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში.

10.2. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ მხარეებზე და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ან/და გადაელახათ. თუ ასეთმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადაზე, მაშინ ეს ვადა გადაიწევს ასეთი გარემოების მოქმედების პერიოდის თანაზომიერად.

მუხლი 11. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი სხვა გარემოებები

11.1. გარემოება, როცა მშენებლობა შეჩერებულია მესამე პირთა მოთხოვნით, განიხილება, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება. ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნას მესამე პირთა სარჩელი ან სხვაგვარი საქმისწარმოება, რაც შეიძლება უძღოდეს წინ ადმინისტრაციულ აქტს მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით. ასეთი გარემოების არსებობა არ განიხილება როგორც მშენებლობის გაჩერება, შესაბამისად, მხარეებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულებიდან გასვლა ამ მოტივით, მხარეებს შორის შეთანხმებული ვადები გადაიწევს ასეთი მდგომარეობის არსებობის პერიოდით.

მუხლი 12. დავების განხილვა

12.1. ყველა დავას მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით.

..2. დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო ხელშეკრულების მხარის ინიციატივით.

მუხლი 13. ზოგადი დებულებები

13.1. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ხუთ იდენტურ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ამხანაგობის თავმჯდომარესთან. ამხანაგობის თავჯდომარე ვალდებულია გადასცეს ხელშეკრულების ასლი ნებისმიერ მონაწილეს, მონაწილის მოთხოვნის შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულების რომელიმე პირობის ბათილობა არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი, რითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული მიზანი.

13.3. მხარეები იღებენ ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის იურიდიული ინტერესის შესანარჩუნებლად, მოლაპარაკების საფუძველზე, შეიტანონ ცვლილება/ები ხელშეკრულებაში, თუ მისი რომელიმე მუხლი, პუნქტი ან დებულება გახდება უმოქმედო, არაკანონიერი ან გამოცხადდება ძალადაკარგულად.

13.4. ეს ხელშეკრულება ცვლის მხარეთა შორის არსებულ ყველა იმ ზეპირ და წერილობით შეთანხმებას, ხელშეკრულებას ან/და სხვა სახის აქტს, რომელის არსებობდა ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ამ ხელშეკრულების საგნის შესახებ.

13.5. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ ეს ხელშეკრულება მათთვის წარმოადგენს კანონიერ, ძალაში მყოფ და შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს.

13.6. ნებისმიერი ცვლილება, შესწორება ან/და დამატება ხელშეკრულებაში, იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

13.7. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) უნდა დარეგისტრირდეს გადასახდელის გადამხდელად ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

13.8. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობანი მხარეთა შორის რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.9. მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი წინასწარ გაეცნენ ხელშეკრულების დებულებებს და მათ სრულად ესმით ამ დებულებათა შინაარსი.

მუხლი 14. მხარეები

ამხანაგობის წევრი 1. თეა ჭილაძე	თეა ჭილაძე
ამხანაგობის წევრი 2. ნინო სხირტლაძე	ნინო სხირტლაძე
ამხანაგობის წევრი 3. ბექა ჩადუნელი	ბექა ჩადუნელი
ამხანაგობის წევრი 4. ანა პატიეშვილი	ანა პატიეშვილი
ამხანაგობის წევრი 5. მიხეილი სხირტლაძე	მიხეილი სხირტლაძე
ამხანაგობის წევრი 6. დავით გრძელიშვილი	დვი გრძელიშვილი
ამხანაგობის წევრი 7. ვალერიანი კუსრაშვილი	ვალერიანი კუსრაშვილი ✓
ამხანაგობის წევრი 8. მაია პატიეშვილი	მაია პატიეშვილი
ამხანაგობის წევრი 9. ილია ჩხაიძე	ილია ჩხაიძე ✓
ამხანაგობის წევრი 10. ნატალია ლომსაძე	ნატალია ლომსაძე
ამხანაგობის წევრი 11. ბესიკი ომიაძე	ბესიკი ომიაძე
ამხანაგობის წევრი 12. ავთანდილ ჩხაიძე წარმოდგენილი ილია ჩხაიძის სახით	ილია ჩხაიძე ✓

მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირების მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია ოთხ ეგზემპლარად.
გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 80.0 (ოთხმოცი) ლარი, დღგ 14.40 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 2 (ორი) ლარი, სულ 96.40 (ოთხმოცდათექვსმეტი და 40) ლარი.
ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160204602
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.03.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი,მტკვრის ქ.#4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2952228
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	21214894658516

საქართველო
ორიათას თექვსმეტი წლის ოთხ მარტს, მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. #4-ში მომმართეს თეა ჭიღლაძემ, ნინო სხირტლაძემ, ბექა ჩადუნელმა, ანა პატიფშვილმა, მიხეილი სხირტლაძემ, დავით გრძელიშვილმა, ვალერიანი კუსრაშვილმა, მაია პატიფშვილმა, ნატალია ლომსაძემ და ბესიკი ომიაძემ, რომელთაც განაცხადეს, რომ სურთ ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება ინდივიდუალურ ბინათ მენაშენეთა ამხანაგობის ხელშეკრულებაზე.
მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს:
თეა ჭიღლაძემ (დაბ.15.01.1974 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი გუდამაყრის ქ. N 7ა ბ. 18, პირადი #01023000378, პ/მ სერია 13IG86157),
ნინო სხირტლაძემ (დაბ.04.07.1958წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ვ.ბაგრატიონის ქ. N 32, პირადი #01007015559, პ/მ სერია 13IF18603),
ბექა ჩადუნელმა (დაბ.12.07.1988წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 9 ბ. 2, პირადი #01001041082, პ/მ სერია ა1410463),
ანა პატიფშვილმა (დაბ.20.10.1986წელს, რეგისტრირებული მისამართზე: ლანჩხუთი ს. მამათი, პირადი #26001011342, პ/მ სერია 11IA19333),
მიხეილი სხირტლაძემ (დაბ.01.01.1951წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი გუდამაყრის ქ. N 25, პირადი #01019036901, პ/მ სერია გ0683362),
დავით გრძელიშვილმა (დაბ.01.07.1974წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი სანზონა კორ. 3ა ბ. 25, პირადი #01023001001, პ/მ სერია 13IH21848),
ვალერიანი კუსრაშვილმა (დაბ.30.08.1987წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თელავი ს. კურდღელაური მე–2 ქ. N 5, პირადი #20001058345, პ/მ სერია 11IB08063),
მაია პატიფშვილმა (დაბ.30.05.1982წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 10 ბ. 95, პირადი #01006010362, პ/მ სერია 13IE35242),
ნატალია ლომსაძემ (დაბ.26.07.1976წელს, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 23, ბინა 16, პირადი #47001002173, პ/მ სერია 13IG16220),
ბესიკი ომიაძემ (დაბ.29.09.1973წელს, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი გუდამაყრის ქ. N 7ა ბ. 18, პირადი #01022002954, პ/მ სერია დ1438510).
აღნიშნული მომენტისთვის მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა დავით ჩალათაშვილმა განვუმარტე ხელმომწერ პირებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ წაიკითხეს და დაადასტურეს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. მე, ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი ამ ხელშეკრულების დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირებს ეკუთვნით და არ ვადასტურებ ხელშეკრულებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160209750
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.03.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამ
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი,მტკვრის ქ.#4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2952228
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	60345951702816

საქართველო

ორი ათას თექვსმეტი წლის მვიდ მარტს მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში - მისამართზე: ქ. თბილისი მტკვრის ქ. #4-ში მომმართა ილია ჩხაიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება 2016 წლის 4 მარტის ინდივიდუალურ ბინათ მენაშენეთა ამხანაგობის ხელშეკრულებაზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: ილია ჩხაიძემ (დაბად.09.03.1997, პ/ნ # 26001035613, პ/მ სერია 13IC01329, რეგისტრირებული მისამართი: ლანჩხუთი ს. მამათი). აღნიშნული მომენტისთვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა დავით ჩალათაშვილმა განვუმარტე ხელმომწერ პირს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და დაადასტურა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მე, ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი, ამ ხელშეკრულების დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირს ეკუთვნის და არ ვადასტურებ ხელშეკრულებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია ოთხ ეგზემპლარად. გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 8.0 (რვა) ლარი, დღგ 1.44 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 2 (ორი) ლარი. სულ 11.44 (თერთმეტი და 44) ლარი.

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საგადახდო დავალება
Payment Order

0 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 13/03/2018

გადამხდელი / Sender

ბინათმენაშენეთა ამხანაგობა გუდამაყრის 25, 200283068

რეფერენსი / Ref. Num.

1958471053

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE12TB7648136050100002

თანხა / Amount

11,016.60 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | *TBCBGE22*

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თერთმეტი ათას თექვსმეტი ლარი და 60 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *ბინათმენაშენეთა ამხანაგობა გუდამაყრის 25, 200283068*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 200283068

მიმღები / Receiver

ქ. თბილისის მერია

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code GE02LB0125152101629353

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

სს "ლიბერთიბანკი" | *LBRTGE22*

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

13/03/2018

გადახდის დანიშნულება / Operation Details

კოეფიციენტის გადასახადი

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ხელმოწერა
Signature

დასტურდება ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.